

ხელშეკრულება
GPRS საკონტროლო სალარო აპარატ(ებ)ის (სსა)-ს
ტექნიკურ-კურიერული მომსახურების შესახებ

ქ.თბილისი

----- 201-
თარიღი

ერთი მხრივ, შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“ ს/კ 406049823 (შემდგომში: „შემსრულებელი“), წარმოდგენილი -----
----- მიერ და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში

„დამკვეთი“) თანხმდებიან და დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ანგარიშსწორება: ☐ ნაღდი ან ☐ უნაღდი

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთი“ ავალბს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ტექნიკურ-კურიერული მომსახურების ვალდებულებას საკონტროლო სალარო აპარატზე, მოდელი Daisy eXpert / PERFECT S/ Daisy eXpert SX/Compact S: სსა-ს ნომერი/ები:

2. მომსახურების გაწევის წესი და პირობები

2.1 საკონტროლო სალარო აპარატის ტექნიკურ-კურიერული მომსახურება გულისხმობს იმ სამუშაოთა ადგილზე ჩატარებას, რომელიც უზრუნველყოფს სსა-ს გამართულ ფუნქციონირებას, შემოსავლების სამსახურის ან სამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ დადებული ლუქის დაზიანების გარეშე ან როგორც კურიერის მიერ სარემონტო ცენტრში წარდგენას (თუ იგი არ ექვემდებარება ადგილზე შეკეთებას) და სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ მფლობელისთვის დაბრუნებას.

3. საგარანტიო საფუძველი

3.1 იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო სალარო აპარატის (სსა)-ს დაზიანება გამოწვეულია „დამკვეთის“ მხრიდან საკონტროლო სალარო აპარატის (სსა)-ს საექსპლუატაციო სახელმძღვანელოში მითითებული წესების არასწორად გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის, აპარატის შიდა მოწყობილობაში შესვლის მცდელობით, აპარატის მექანიკური დაზიანებით, სითხის ზემოქმედების, ფორს-მაჟორული შემთხვევების შედეგად, რაც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, როგორცაა სტიქიური უბედურებები, ომი, სამხედრო მანევრები და სხვა ხდომილებების შედეგად „დამკვეთი“ კარგავს საკონტროლო სალარო აპარატის (სსა)-ს შეკეთების უსასყიდლოდ განხორციელების მოთხოვნის უფლებას.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

4.1 „შემსრულებელი“:

4.1.1 ტექნიკური გაუმართაობის ან სხვა პრობლემების გამო სსა-ს ფუნქციონირების შეზღუდვის თაობაზე „დამკვეთისგან“ შეტყობინების მიღების შემდეგ უზრუნველყოფს აპარატის მყისიერად შეკეთებას ადგილზე ან/და მიწოდებას სარემონტოდ ცენტრისათვის და უმოკლეს დროში დაბრუნებას მფლობელისთვის.

4.1.2 იღებს ვალდებულებას სსა-ს პროგრამული გაუმართაობის შემთხვევაში მომხმარებელს მოემსახუროს ცხელი ხაზის მეშვეობით და სწრაფად აღმოფხვრას გაუმართაობასთან დაკავშირებული საკითხი.

4.1.3 დამკვეთის მიერ პირველი შენატანის გადახდამდე ან გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელი“ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, რაც ამავე დროს არ ათავისუფლებს „დამკვეთს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.1.4 უფლებამოსილია დროებით, ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს დამკვეთს სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილების მომსახურების გაწევა, იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის არ განხორციელდება ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გადასახადის დროულად და სრულად გადახდა. ასეთ შემთხვევაში თუ მომსახურება შეუჩერდა დამკვეთს თანხის გადაუხდელობის გამო, ვალდებულია გადახდის შემდგომ მომსახურების განახლების მოთხოვნით შეატყობინოს შემსრულებელს ცხელი ხაზის ან ელ. ფოსტის მეშვეობით. ხოლო შემსრულებლის მოთხოვნით წარმოადგინოს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

4.2 „დამკვეთი“

4.2.1 აქვს უფლება ისარგებლოს „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით.

4.2.2 ვალდებულია უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციების წარმოება, აღრიცხვა და შენახვა, რომლებიც დაკავშირებულია სსა-ს ტექნიკურ დათვალიერებასა და რემონტთან.

4.2.3 უზრუნველყოს სსა-ს ექსპლუატაცია ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2.4 სსა-ს მუშაობის პროცესში წარმოშობილი რაიმე პრობლემის შემთხვევაში, შეწყვიტოს აპარატის ექსპლუატაცია და დარეგოს „შემსრულებლის“ ცხელ ხაზზე, ტელ: 591 00 69 01; 591 00 69 02; 591 00 69 03. დილის 09:30 სთ-დან ღამის 24:00 სთ-მდე.

4.2.5 ვალდებულია უზრუნველყოს სსა-ზე დადებული პლომბის მთლიანობის შენარჩუნება.

4.2.6 ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადაიხადოს ხელშეკრულების მე-5 პუნქტში მითითებული საფასური გრაფიკის მიხედვით ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

5. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1 მომსახურების წლიური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს 1 (ერთი) ცალ საკონტროლო სალარო აპარატზე.

5.2 მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება ყოველ კვარტალურად, **ოთხჯერადად**, თითოეულ გადახდაზე 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით. პირველი გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღეს, ხოლო ყოველი შემდგომი გადახდა უნდა იმეორებდეს ან წინ უსწრებდეს პირველი გადახდის თარიღს.

5.3 მომსახურების გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

6. ხელშეკრულების მოქმედების და შეწყვეტის წესი

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში 201-- წლის —————მდე.

რიცხვი თვე

6.2 დაუშვებელია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი გამოწვევების გარდა.

6.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამკვეთის ინიციატივით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სსა-ს რეგისტრაციიდან მოხსნის შემთხვევაში.

6.4 დამკვეთს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი არაერთგზის დაარღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს და ამის შესახებ წერილობით ეცნობა შემსრულებელს.

6.5 „შემსრულებელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთის“ მიერ არ არის გადახდილი მომსახურების სრული ღირებულება.

6.6 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე 1 (ერთი) თვით ადრე არცერთი მხარე არ განაცხადებს წერილობით უარს მის გაგრძელებაზე, მაშინ აღნიშნული ხელშეკრულება ყოველჯერზე გაგრძელდება ჩაითვლება მომდევნო 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით.

7. შეტყობინება

7.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შეტყობინება მხარეთა შორის უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

7.2 მხარეები ვალდებული არიან მისამართის ან საკონტაქტო საშუალების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს.

8. სხვა დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

8.2 აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ექვემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება „დამკვეთთან“, ხოლო მეორე „შემსრულებელთან“.

8.3 მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს, რომ ისინი სრულად გაეცნენ აღნიშნულ ხელშეკრულებას და მათთვის მისაღებია ხელშეკრულებით დადგენილი ყველა ნორმა.

8.4. "მხარეები" ასევე აცხადებენ და ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, აგრეთვე ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება და მისი პირობები გამოხატავენ მხარეთა ნებას. მოპოვებული აქვთ ხელშეკრულების დადებისათვის კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა.

8.5 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

9.1 „შემსრულებელი“	9.2 „დამკვეთი“
შ.პ.ს. „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“ ს/ნ 406049823 იურიდიული მისამართი: შავთელის ქ. 13, (ნაკვ. 33/1) ფაქტ. ვაჟა-ფშაველას 45. itdgsn@gsn.ge ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE70TB7114436080100001 _____ (ხელმოწერა)	დასახელება:_____ საიდენტიფიკაციო ნომერი: _____ ფაქტიური მისამართი:_____ საკონტაქტო ტელეფონი:_____ ელ-ფოსტა : _____ _____ (ხელმოწერა)